ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდე

ქართველ ნაციონალისტთა ორგანო

წლწდ. 1 / N. 3 / ბერლინი, სექტემბერი 1934 წ
1. Jahrg. / Nr. 3 / Berlin, Sept. 1934

„Klde“ / Der Fels
Organ der georgischen Nationalisten

რედაქციის მისამართი — Schriftleitung:
Berlin-Charlottenburg 1, Eosanderstr. 3

ბერლინი. სექტემბერი. მოხდა ის რის შესახებაც უკანასკნელ თვეებში მთელი ქვეყნის გაზეთები გაჰყვიროდენ: საბჭოთა რუსეთი მიღებულ იქმნა ერთალიგის წევრად. მსოფლიო პრესა ამ ამბავს დიდი ინტერესით გამოეხმაურა, მაგრამ ერთალიგის ახალი წევრის ქვეყნის მცხოვრებნი ასე მალე ვერ გაიგებენ, თუ როგორ მძიმე იყო „ეს მშობიარობა“.

აქ ჩვენ მოკლედ შევეხებით იმ მიზეზებს, რომლებმაც საბჭოთა რუსეთი ერთალიგაში მიიყვანა; აღვნიშნავთ აგრეთვე, თუ როგორ შეხვდენ სხვადასხვა სახელმწიფოები ამ ფაქტს და ამასთან დაკავშირებით საქართველოს საკითხის წამოყენებას როგორც პრესაში, ისე ერთალიგაშიაც. თუ როგორ უყურებდენ უწინ ბოლშევიკები ერთა ლიგას, ყველასათვის ცნობილია და ალბათ მათ დღევანდელ მეგობართა შორის არავის დავიწყებია ბოლშევიზმის მამამთავრის ლენინის სიტყვები: „ერთა ლიგა ავაზაკთა დაწესებულებაა“, სადაც, უნდა ვიფიქროთ, ბოლშევიკებს ადგილი არა აქვთ. საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეები და პრესა, როდესაც ერთა ლიგაზე ლაპარაკობდენ, თავიანთ მოვალეობად სთვლიდენ, თანდაერთვათ: „აგრედ წოდებული“ . . . საკითხი იბადება, - რა ბედმა და რა ცვლილებებმა მოიყვანეს დღეს ბოლშევიკები „ავაზაკთა დაწესებულებაში“? კომუნიზმი თავის იდეოლოგიაში ხომ უარსჰყოფს ყველაფერს, რაზედაც ერთა ლიგის დაარსების პრინციპი ეყრდნობა. განა პიროვნების პატივისცემა, რწმენის თავისუფლება, სხვა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში არგარევა, ხელშეკრულობის დაცვა, მშვიდობიანობა, ჰუმანობა და სხვა და სხვა საბჭოთა ხელისუფლების ატრიბუტებად როდისმე ყოფილა? როგორ შეიძლება შერიგება „მებრძოლ“ კომუნიზმისა ერთა ლიგის წესდებასთან? დასაჯერებელია კომუნიზმის „ევოლუცია? აი საკითხები, რომლებიც დიდხანს აღელვებდა ქვეყნის სინიდისს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მონახეს, რათგანაც, ერთი გაზეთის სწორი შენიშვნით, „მსოფლიოს უნდა, რომ ის მოტყუებული იყოს“. სიყალბისა და გულახდილობის გარჩევა უმადურ საქმედ ხდება, მაგრამ მათთვის, ვისაც არ სურს, რომ „მოტყუებული“ იყოს, ცხადია, რომ არა უცბად გაღვიძებულმა „სიყვარულმა“, არა პატივის ცემის გრძნობამ ან „კომუნიზმის ევოლუციამ“ მიიყვანა ბოლშევიკები ჟენევაში, არამედ უფრო სერიოზულმა პოლიტიკურ და ტაკტიკურ მოსაზრებებმა. აქ პირველი ადგილი უჭირავს ძლიერი იაპონიის სამხედრო მუქარას. მრისხანე ღრუბლები გადაეფარა საბჭოთა მოწმენდილ ცას და მიუხედავად მისი ბევრი ცდისა და ტრაბახისა, საბჭოთა რუსეთს იაპონიის დიდი შიში აქვს. მეორე მუქარა—მძლავრი გაღვიძება ნაციონალური ძალებისა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ თითქმის ყველა სახელმწიფოებში, თუმცა სხვა და სხვა ზომით. ამ სახელმწიფოებს ეკუთნის, უწინარეს ყოვლისა, გერმანია და ავსტრია. გერმანია და ავსტრია ბუდე იყო კომუნიზმისა ევროპაში, და ახლა ამ ორივე სახელმწიფოში არათუ ჩამხრჩვალია კომუნიზმი, არამედ საზოგადოდ მარქსისტული სული მოსპობილია. გერმანიამ დიდი ზიანი მიაყენა კომინტერნს, და მაშასადამე, საბჭოთა რუსეთსაც, რითაც აიხსნება მისი გადახრა საფრანგეთისაკენ. აქედან ცხადია, რომ, შეეჭვება თავის სამხედრო ძალებში, ბოლშევიკებს არათუ აიძულებს ყველას თავისი „საგარანტიო პაქტები“ თავს მოახვიოს და მოკავშირეები მოძებნოს, არამედ თხოულობს ერთა ლიგაში შესვლას თავისი პრესტიჟის ასაწევად და ლიგის წესდების იმ პუნკტის თავისათვის გამოსაყენებლად, რომელიც ყველა იქ წარმოდგენილ სახელმწიფოებს ავალებს თავიანთი წევრების ტერიტორიის ხელუხლებლობის დაცვას. როგორცა სჩანს, ამერიკასთან სამხედრო თანამშრომლობის გეგმამ არ გაამართლა ის მოლოდინები, რომლებსაც საბჭოები ამერიკის მიერ ცნობასთან აკავშირებდენ. ერთა ლიგის ტრიბუნა საუკეთესო ადგილი იქნება, საიდანაც ბოლშევიკები „იმპერიალისტების“ ინტრიგებს „გამოამზევებენ“ და საბჭოების „მშვიდობიანობის მოყვარეობას“ ქვეყანას მტკიცებას დაუწყებენ.

ჟენევაში უფრო ადვილია პოლიტიკური ინტრიგების წარმოება, სხვა და სხვა სახელმწიფოების უთანხმოებით სარგებლობა. ეჭვი არაა, რომ ბოლშევიკები სავსებით ისარგებლებენ ახალი მდგომარეობით, რომ უფრო ხმა მაღლა და უფრო ხშირად გადმოისროლონ კომუნისტური ლოზუნგები სწორედ ამ მაღალ ტრიბუნიდან. და ბოლოს, მუდმივი ურთიერთობას ჟენევაში ხალხების წარმომადგენლებთან, შეუძლია რამოდენადმე გაადვილოს მათთვის „კომერციული“ საქმეების მოწყობა თუ სრულიად ცხადია, რატომ მოვიდნენ ბოლშევიკები ერთა ლიგაში, მაშინ საინტერესოა, - რაში დასჭირდა ისინი ამ უკანასკნელს? როგორც ცნობილია, ერთა ლიგის პრესტიჟი ხშირად იქმნა შერყეული, მაგრამ ყველაზე მეტად შეარყია ის ორი დიდი სახელმწიფოს გასვლამ,-იაპონიის და გერმანიის. ეს ცარიელი ადგილი მოითხოვდა შევსებას . . . მაგრამ უმთავრესი როლი ბოლშევიკების ერთა ლიგაში შეყვანაში ითამაშა საფრანგეთმა. ნაციონალისტური გერმანია საფრთხედ გადაიქცა არა მარტო ბოლშევიკებისათვის. გერმანიის „იზოლიაციაში“ მოქცევის მისწრაფებით საფრანგეთმა ჰპოვა მოკავშირე მისი ყოფილი მტრის—საბჭოთა რუსეთის [illegible] ახალი გერმანიის „რალაც არაჩვეულებრივმა აგრესიობამ“ სწრაფად დაუახლოვა კომუნისტური რუსეთი ბურჟუაზიულ საფრანგეთს. ერთა ლიგის კომისიაში ბარტუმ სხვათა შორის სთქვა: „თქვენ თუ არ მიიღებთ საბჭოთა რუსეთს, თქვენ მას უგდებთ ხელში არ ვიტყვი ვის“ . . . საფრანგეთი ძლიერ ეცადა, რომ სხვა და სხვა სახელმწიფოები ერთა ლიგაში ბოლშევიკების მიღებაზე დაეთანხმებია. ბარტუს მოგზაურობას ვარშავაში, პრაჰაში, ვენაში, ბუდაპესტში, ბუხარესტში, სოფიაში, ბელგრადში აზრადა ჰქონდა მიეღო თანხმობა ამ სახელმწიფოებისა საბჭოების შეყვანაზე ერთა ლიგაში. ინგლისთან შეთანხმებამ, შემდეგ იტალიასთან, რომელიც ჰიტლერს ოპოზიციაში ჩაუდგა, (ავსტრიის საკითხის გამო) გადასწყვიტა საბჭოების შესვლის საკითხი. მაგრამ მით უფრო შესანიშნავია ოპოზიცია სხვების, უფრო პატარა სახელმწიფოებისა, ერთა ლიგის პოლიტიკურ კომისიაში. პორტუგალიამ, შვეიცარიამ, ბელგიამ, ჰოლანდიამ და არგენტინამ პირდაპირ ანტისაბჭოების პოზიცია დაიჭირეს. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა შვეიცარიის წარმომადგენელის მოტტას გაბედულმა სიტყვამ. მის სიტყვას არა თუ მიემხრო მთელი შვეცარიის პრესა, არამედ მთელი მსოფლიოს პრესა სიმპატიით შეხვდა. „ზოგნი ამბობენ—სთქვა მოტტამ,—რომ არ შეიძლება უყურადღებოდ დაიტოვოს ის ქვეყანა, რომელსაც 160 მილიონი მცხოვრები ჰყავს, რომ ერთა ლიგა ზნეთა-მეცნიერების ინსტიტუტი არ არის და ამიტომ პირობებს უნდა შეეთვისოთო; მაგრამ ასე ლაპარაკობენ მხოლოდ დიდი სახელმწიფოები, შვეიცარიამ კი ხმა მაღლა უნდა განაცხადოს, რომ მის მთავრობაზე ვერავინ და ვერასოდეს ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებს . . . ჩვენ არ შეგვიძლია დავიჯეროდ ბოლშევიკების „ევოლუცია“, და ყველა შვეიცარელებს ისეთი გრძნობა აქვთ, რომ საბჭოების დაშვება ერთა ლიგაში გაბედული საქმეა, რომელიც ცდილობს წყალი ცეცხლთან შეარიგოს . . . კომუნიზმი არის უარყოფა იმისი, რაც ჩვენი ყოველდღიურ ცხოვრების არსს შეადგენს . . . როდესაც თქვენ ბოლშევიკებს ერთა ლიგაში დაუშვებთ, მის წინ დაისმება ძლიერ მნიშვნელოვანი საკითხები: საჭირო იქნება გადაწყდეს ბედი საქართველოსი, უკრაინისა და სხვა, რომელთა დამცველებიც ამ საქმეში პასიურად არ დარჩებიან. ჩვენ მოვსთხოვთ საბჭოთა რუსეთს ახსნა განმარტებას ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ, რომელმაც უბედურებაში გახვია ქრისტიანობა და რომელიც სამართლიანობის შეურაცხმყოფელად გამოდის“. კაიერო-და-მატამ, პორტუგალიის წარმომადგენელმა, სხვათა შორის სთქვა: „ . . . არის რაღაც შეუფერებლობა საბჭოების მიერ გატარებულ ეკონომიურ, იურიდიულ, პოლიტიკურ და მორალურ წესის პრინციპებსა და ცივილიზაციის ყველა საფუძვლებს შორის“. რასაკვირველია ყველა ასეთ გამოსვლებს დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ბოლშევიკების ერთა ლიგაში შესვლას ხელს ვერ შეუშლიდა, რადგანაც, როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, მათი მიღების საკითხი წინასწარ იყო გადაწყვეტილი დიდი სახელმწიფოების და მათი მეგობრების მიერ. ერთა ლიგის პოლიტიკური კომისიის რეზოლუცია მიღებულ იქმნა უმრავლესობით 38 ხმით, (წინააღმდეგ სამი სახელმწიფო, თავი შეიკავა შვიდმა, არ დაესწრო სამი). ამნაირად, როგორც გაზეთები სწერდენ, საბჭოთა რუსეთი მიღებულ იქმნა ერთა ლიგაში „მესამე ხარისხით“.

ევროპის პრესამ სხვადასხვანაირად შეაფასა ბოლშევიკების შესვლა ერთა ლიგაში: „ჟენევის ჩარევამ მხოლოდ ცეცხლს ზეთი დაასხა“. „ . . . ეს არა ჩვეულებრივი სანახაობა იყო, და ძალიან ხელს შეუწყობს ზნეობრივი პრესტიჟის უკანასკნელი ნარჩენის მოსპობას, რომელიც ჯერ კიდევ შერჩენია ერთა ლიგას“ (ინგლისური გაზეთები). „ბოლშევიკების წესწყობილება თავიდანვე იყო ყოვლად საზიზღარი, წინააღმდეგი ელემენტარულ კანონებისა, მორალისა და ცივილიზაციისა. საბჭოთა რუსეთს აშინებს ომი, რომელიც აუცილებლად გამოიწვევდა მისი დაცემას. აი ხალხი რომელთანაც უგუნურებს სურთ, რომ ჩვენ კავშირი შევკრათ“ (გრეგუარ). გერმანიის პრესა სრულიად გულცივად შეხვდა ამ ამბავს. „გერმანია მხოლოდ თვალ-ყურს ადევნებს“ (ფოელკიშე ბეობახტერ) „სახელმწიფოთა აეროპაგმა არათუ მხოლოდ იცნო ლეგალობა საბჭოთა სისხლიანი ბატონობისა დაჩაგრულ ხალხზე, არამედ მიიღო იმ დაწესებულების წევრთა რიცხვში, რომელიც, მისი დამაარსებლების აზრით, უნდა ყოფილიყო უმაღლეს წერტილად ხალხთა ჰუმანობისა, თავისუფლებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობისა. ერთა ლიგამ მისი უკანასკნელი მოქმედებით შექმნა მორალის ახალი კოდექსი, რომელსაც არ აწუხებს სისხლიანი ძალმომრეობა და ავაზაკობა, მიმართული ყველა იმის წინააღმდეგ, რასაც აქამდე კულტურული ქვეყანა სამართლიანობისა და სამოქალაქო თავისუფლების უფლებად სთვლიდა. კულტურულმა სახელმწიფოებმა თავიანთ წრეში მიიღეს ის პირები, რომელთა ხელებზე ჯერ კიდევ არ გამშრალა სისხლი მათი უთვალავი მსხვერპლისა“ . . . (დ-რ კრამარჟ), „დეილი-მეილ“ სამართლიანად ამბობდა, ბოლშევიკები „შეიპარნენ“ ერთა ლიგაშიო.

ბოლშევიკების ერთა ლიგაში შესვლასთან დაკავშირებით „მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესმა“ ლოკარნოში გამოსთქვა სურვილი, რომ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობამ სულმოკლე ხანში მიიღოს გადაწყვეტილება ერთა ლიგის ჩარჩოებში. ეს გადაეცა ერთა ლიგის სეკრეტარიატს ბელგიის სენატორ ფონტენის საშუალებით. ამ მოწოდებაში ნაჩვენებია, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველომ გამოაცხდა თავისი დამოუკიდებლობა; 1920 წელს 7 მაისს ხელშეკრულობით საბჭოთა რუსეთმა იცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა; რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილ იყო de jure 1921 წლის 27 იანვარს ყველა სახელმწიფოების მიერ, რომლებიც შედიოდენ უმაღლეს საბჭოში; და ბოლოს, რომ ერთა ლიგის საზოგადო კრებამ ორჯერ გამოიტანა რეზოლუცია (1922 და 1924 წ) საქართველოს სასარგებლოდ. მშვიდობიანობის საერთაშორისო კონსრესი გამოსთქვამს იმედს, რომ საბჭოთა რუსეთის ერთა ლიგაში შესვლის შედეგად მოკლე ხანში საქართველოს დამოუკიდებლობა დაუბრუნდება. მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესის სურვილს საქართველოს შესახებ აქვს ის მნიშვნელობა, რომ საქართველოს საკითხი კიდევ აქტუალური ხდება, და მთელი ქვეყნის პრესამ კიდევ დაიწყო ჩვენზედ ლაპარაკი; მაგრამ ექნება თუ არა ამას რამე პრაქტიკული შედეგები? აი საკითხი, რომელიც იწვევს ეჭვებს რადგანაც ძნელი იქნება აიძულონ საბჭოები ამ საქმეზე დათანხმდენ. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ დიდი სახელმწიფოები ბოლშევიკებთან ურთიერთობას გაიფუჭებენ ისეთი არასასიამოვნო მოთხოვნილებების წაყენებით, როგორიც არის საქართველოს დამოუკიდებლობის დაბრუნება! ეს კიდევ შესაძლებელი იქნებოდა, რომ ერთა ლიგაში წარმოდგენილ სახელმწიფოთა შორის ერთობა ყოფილიყო. ამიტომ, ვსცნობთ რა დიდმნიშვნელობას „მშვიდობიანობის კონგრესის“, მეგობრების და პრესის გამოსვლის საქართველოს სასარგებლოდ, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ჩვენი განთავისუფლება მოვა სხვა გზით: საბჭოთა რუსეთი უნდა დაინგრეს, რადგანაც ის წარმოადგენს ჩვენი დროის არაბუნებრივ მოვლენას. ის შიგნიდან აფეთქდება, თუ გარეშე მიზეზების გავლენით—ძნელი სათქმელია. მსოფლიო ნაციონალური ძალების გამოფხიზლება, ორგანიზაციულად მოწყობილი დაკვრა მარქსიზმზე,—აი რა მოიტანს უფლება აყრილ ერთა განთავისუფლებას. საქართველოც, ეროვნული გრძნობით ანთებული და ბედით ამ მებრძოლ ძალებთან დაკავშირებული და გადაბმული, მათთან ერთად სჭედს თავის ძლევამოსილ მომავალს. ქართული ნაციონალიზმი და მის გარშემო ცოცხალი ძალების თავმოყრა—აიჩვენი ხსნის თავდები.

რ. მ.

შამილი

(1798—1871)

ასი წლის წინ — 19 სექტემბერს 1834 წ.- შამილი არჩეულ იქნა იმამად ე. ი. საერო და სასულიერო მეთაურად თავისუფლების მოყვარულ კავკასიის მთიელებისა ამ დროიდან იწყება ყველაზე სახელოვანი პერიოდი კავკასიის მთიელთა გმირული ბრძოლისა რუსეთის წინააღმდეგ. ამ ტიტანიურ ბრძოლას შამილი აწარმოებდა 25 წლის განმავლობაში—1859 წლის 25 აგვისტომდის.

ბრწყინვალე იუბილე !! ბრწყინვალე სახელი!!

შამილი შევიდა ისტორიაში როგორც მაგალითი ძლევამოსილებისა, მაღალი ღირსებისა, პატრიოტიზმისა და გმირობისა.არის სახელები, რომელნიც არათუ ჰქრებიან დროთავითარებაში, არამედ საუკუნეთა განვლის შემდეგ უფრო ემატებათ ბრწყინვალება. ასეთი იყო და იქნება შამილი ! !

მის ხსოვნას ღრმა პატივითა და სიამაყით ინახავენ კავკასიელნი განურჩევლად ეროვნებისა. ძლევამოსილი მოხუცის აჩრდილი, მოსილი მიუწვდომელი შარავანდედით, გადმოჰყურებს მშობლიურ კავკასს და მოუწოდებს მამულიშვილთ სამშობლოს თავისუფლების აღდგენისაკენ.

კავკასიის ტიტანის ცხოვრების სრული აღწერა მოკლე საგაზეთო წერილში შეუძლებელია; უნდა დავკმაყოფილდეთ მისი სახელოვანი მოღვაწეობის მხოლოდ მცირე ეპიზოდებით

შამილი დაიბადა ავარის აულ ჰიმრში 1797 წელს. მისი ნამდვილი სახელი იყო ალი, მაგრამ მშობლებმა შემდეგში მას მეორე სახელი შამილი დაარქვეს. მისი პირველი მასწავლებელი იყო ყაზი-მაჰმადი; ხოლო შემდეგ სახელგანთქმული სწავლულის ჯემალ-ედდინის ხელმძღვანელობით გაიარა კურსი გრამატიკის, რიტორიკის, არაბული ენის, ფილოსოფიისა და საღვთო სჯულის. შამილი იყო თავის დროის უგანათლებულესი პიროვნება და ამავე დროს აგრეთვე შესანიშნავი სპორტსმენი; რბენა, ჭიდაობა

ფარიკაობა და სხვ. იყო მისი მეცადინეობის მთავარი საგანი

1825—1830 წლებში მთიულეთს სწრაფად მოედო ახალი მოძღვრება—მურიდიზმი, რომლის მამათმთავარი შამილის მასწავლებელი, შემდეგში იმამად არჩეული, ყაზიმაჰმადი იყო. უკანასკნელი შეუდგა მთიელთა გაერთიანებას რუსეთის წინააღმდეგ, და 1831 წელს საღვთო ომი (ჰაზავატი) გამოუცხადა მტერს. მისი მარჯვენა ხელი იყო შამილი, რომელმაც როზენის ჯართან ბრძოლაში არაჩვეულებრივი სამამაცე გამოიჩინა. 1832 წელს რუსების მიერ აულ ჰიმრის ალყის შემორტყმისას შამილი მძიმედ დაიჭრა. ამავე ბრძოლაში მოკლულ იქნა ყაზიმაჰმადი, რომლის შემდეგაც იმამად აირჩიეს ჰამზატ-ბეგი.უკანასკნელი შემდეგში მოჰკლეს შეთქმულებმა მეჩეთში. ჰამზად-ბეგის შემდეგ იმამად აირჩიეს შამილი. მან რკინის ნებისყოფით გააერთიანა მთიელთა ყველა ტომები; მოაწყო ადმინისტრაცია და შემოიღო კანონმდებლობა; სიკვდილით სჯიდა მოტყუებისათვის, სიცრუისათვის, ღალატისათვის, ძარცვისა და დაცემისათვის; რკინის დისციპლინა და მკაცრი სასჯელი აუცილებელი საშუალება იყო, როგორც შემკავებელი პრინციპი ომის საშიშროებათა გამო.ის შეუდგა შარიატის გავრცელებას; ის ასე მიმართავდა ხალხს: ,,თუ მე დავარღვიე შარიატის კანონები—მომკვეთეთ თავი, ხოლო თუ თქვენ ჩაიდინეთ ეს—მე მოგკვეთთ თავს‘‘. შამილმა შექმნა უმაღლესი საბჭო (დუვანი) სწავლითა და დამსახურებით ცნობილ პირებისაგან. მოაწყო რეგულარული ჯარი (ნიზამი); ააშენა ზარბაზნის და თოფისწამლის ქარხნები ვედინოში, უნცუკულში და გუნიბში.

შამილის უთვალავ—დიდ თუ მცირე ბრძოლებიდან ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ შემდეგს:

ციხე ახულგოსთან ბრძოლა გენერალ გრაბეს ჯართან, სადაც რუსებმა დაკარგეს 3000 კაცი. გენერალი გალაფეევის დამარცხება ვალერიკთან (1840 წ.). პოლკოვნიკი ვესელიცკის რაზმის განადგურება (28 აგვისტოს) და გერგებილის ციხის აღება (1843 წ. ოქტომბერში). ქალაქ შუშის ალყის შემორტყმა; გენერალ პასსეკის ჯართან ბრძოლა, სადაც უკანასკნელი მოკლულ იქნა (1844 წ.) დარგინის ბრძოლები მთავარსარდლის გენ. ვორონცოვის ჯარებთან, რომელიც დამთავრდა რუსების უკანდახევით (1845 წ.). ბრძოლა თავადი არგუტინსკი-დოლგორუკის ჯარებთან. თავად ვორონცოვის დამარცხება გერბელთან (1847 წ.). თავად არგუტინსკის ჯარებთან ბრძოლა (1848). ბრძოლა ჩოხის სიმაგრესთან და თავად არგუტინსკის უკან დახევა (1849). ბრძოლები ტურჩი-დაღის სიმაღლეზე (1851 წ). ბრძოლა ორბელიანის რაზმთან ზაქათალში (1852 წ.). ბრძოლა მესელდერის სიმაგრესთან (1853 წ.). ბრძოლა არგუნთან და აულ ისტი-სუსთან (1854 წ). დიდი ბრძოლები გენერალ ვრანგელის ჯართან (1855 წ.). ბრძოლა აუხის სიმაგრესთან და გუმბეტთან; გენ. ადიუტანტი ბარონი ვრანგელის დაღუპვა. ბრძოლა ბასის კლდეკართან (1858).

1858 წ. მტრის ძლიერი ჯარებით შევიწროებული შამილი მაგრდება ვედინოში, ხოლო შემდეგ გუნიბში (400 კაცი და 4 ქვემეხით). რუსების წინადადებაზე—დამორჩილებისა—შამილი უპასუხებს: ,,მაღლა ღმერთია, ხოლო გუნიბში—მისი მორწმუნენი, რომელთაც ხელში ხმალი აქვთ!‘‘ რუსებმა ძლიერი შეტევით აიღეს სიმაგრე გუნიბი; შამილი მაგრდება აულში, მაგრამ შემდეგ, უიმედო მდგომარეობის გამო—ნებდება მტერს 1859 წ. 25 აგვისტოს.

იმავე წლის 15 სექტემბერს შამილი წარუდგინეს რუსეთის იმპერატორს, რომელმაც ის ღირსეული პატივით მიიღო. 1870 წ. შამილმა მიიღო მექქაში გამგზავრების ნებართვა, სადაც ის მოკლე ხანში გარდაიცვალა (1871 წ. 4 თებერვალს).

ასეთი იყო ამ სახელოვანი ადამიანის ცხოვრება.

რ. მკურნალი.

საქართველო და ნაციონალიზმი

(გაგრძელება)

* * *

ქართველი ერი აღდგა ბრძოლად თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის.

არც სოციალისტური იდეა, არც გარეშე ძალთა კარნახი არ დასდებია საფუძვლად ეროვნული ნების ამ გარდაწყვეტილებას; პირიქით: გარეშე ძალისა და სოციალისტური დოგმის უარყოფა — ეს იყო მისი ლოზუნგი.

და მას შემდეგ ასეთია ისტორიის სიტყვა და მსჯელობა:

თევქსმეტი წელია არსებობს მარქსისტული რესპუბლიკა საქართველოში — ჯერ დემოკრატიული, შემდეგ საბჭოთა — და ის არ ეკუთვნის არც „ქართვლის ცხოვრებას", არც ქართველ ერს. თავში უცხო ძალისაგან დამოუკიდებელი, შემდეგ სავსებით უცხო ძალას დამყარებული, ის არ ყოფილა არასოდეს საქართველოს ეროვნული თავისუფლების განსახიერება; არც მაშინ, როცა ის „დემოკრატიული გზით" შენდებოდა და არც მას შემდეგ: არც მენშევიკური, არც ბოლშევიკური.

თუ ის დასაწყისში კიდევ მოსათმენი და ასატანი იყო, სანამ მას ერის დამოუკიდებლობის მომენტი თანახლდა და მარქსიზმი მხოლოდ მინიმუმით იყო წარმოდგენილი, დამოუკიდებლობის დაკარგვასა და მარქსიზმის მაქსიმალურად განხორციელების ცდას ქართველი ერი ხმლით წინააღუდგა.

* * *

და მას შემდეგ ჩვენში მხოლოდ ორი ბანაკი არსებობს:

ერთის მხრით მარქსისტული იდეოლოგია და მის პრინციპებზე აგებული სახელმწიფო, რომელიც—დღეს უცხო ძალის დახმარებით—შლის და ანადგურებს ეროვნული ცხოვრების ყოველ დარგს,

და მეორე მხრით ქართველი ერი — ეროვნული ცხოვრებისა და ეროვნული თავისუფლების სადარაჯოზე: მარქსიზმის, მისი სახელმწიფოებრიობის და, უკანასკნელის დასაყრდენის, უცხო ძალის წინააღმდეგ.

სხვა ძალა საქართველოში არ არსებობს და არც სხვა პოზიცია:

ან მტერთან მისვლა და, მაშასადამე, მარქსისტული იდეოლოგიის და სახელმწიფოს აღიარება, ანდა—მათ წინააღმდეგ მებრძოლის ეროვნული საქართველოს რიგებში ყოფნა!

ძალაში არის მხოლოდ ეს ორი შესაძლებლობა და ყოველი მესამე გამორიცხული.

და ამიტომ: საქართველოსთან მხოლოდ ის არის, ვისაც იგი სწამს და მის ტკივილებს განიცდის; ვისაც აწუხებს სამშობლო ქვეყნისუბედურება და სამშობლოსათვის სამშობლოსავით დაჭრილი გული დააქვს . . .

დღეს საქართველოსთან მარტო ერთი მისავალია: იმ განცდით ალგზნება, რომლითაც აენთო თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი, და იმ მიზნით ცხოვრება, რისთვისაც იგი იბრძვის.

II.

ნაციონალიზმი არის მოღვაწეობის ის სახეობა, რომლის დასაბამი სამშობლოს განცდაა და მიზანი —ერის კეთილდღეობა.

ყოველი ისტორიული სიტუაციის ეროვნული საზომით ზომვა, ყოველი მოვლენის ეროვნული ინტერესით შეფასება და გამოყენება—ეს არის მისი ძირითადი ნორმა; სამშობლოს დამოუკიდებლობა და ერის თავისუფლება, — მისი ზრუნვის ძირითადი საგანი.

ნაციონალისტურმა განცდამ და გრძნობამ, აზრმა და იდეამ, მოღვაწეობამ და საქმემ შეჰქმნა ერი და ეროვნული ცხოვრება საერთოდ.

ნაციონალიზმი არის ერის ჯანსაღი საარსებო ინსტიქტი და ის ისევე ძველია, როგორც თვით ერი და მისი ისტორია.

ყოველი ერის ყოფა-ცხოვრება, მისი სოციალური, კულტურული თუ სახელმწიფოებრივი შემოქმედება, საშინაო თუ საგარეო მოღვაწეობა, ბრძოლა თუ მშვიდობიანობა—მუდამ ნაციონალისტური შეგნებით ყოფილა თანხლებული; გარეშე ამ შეგნებისა არცერთ ერს არ უცხოვრია, და თუ უცხოვრია, დაღუპულა.

ისტორიის გასწვრივ, სხვადასხვა დროსა და ეპოქებში, შექმნილი სიტუაციისა და ერის წინაშე წამოჭრილი საშიშროების მიხედვით, ეს შეგნება ეროვნული სიცოცხლის შენარჩუნების სხვადასხვა სახის ზომად და მოქმედებად გამოვლენილა.

წარსული ისტორია უმთავრესად ნაცონალიზმის ერთ ფორმას იცნობს: უცხო ერის მილიტარული, ეკონომიური თუ კულტურული გაბატონების შიში და საამისო ზრუნვა.

ახალმა ცხოვრებამ ნაციონალიზმი ახალ ამოცანათა წინაშე დააყენა: ეროვნულ ცხოვრებას, გარდა გარეშე ძალებისა, მტერი გაუჩნდა შიგნით, საკუთარ ორგანიზმში. კულტურისა და ცივილიზაციის წინსვლამ გაართულა სოციალური ცხოვრება და ეროვნული სხეულის სხვადასხვა ნაწილები ერთიმეორის მიმართ რთულ ურთიერთობაში მოაქცია. წონასწორობა ეროვნულ და კერძო ინტერესთა შორის დაირღვა; ერის ნაწილების კერძო ინტერესთა ჭიდილმა ეროვნული ინტერესის რკალი გააპო. სოციალური მოტივი დადგა ეროვნული მოტივის პირისპირ და წინააღმდეგ.

მარქიზმმა, მისი ანტიეროვნული იდეოლოგიით, აქიდან აიღო სათავე.

ამ გარემოებამ შეჰქმნა ნაციონალიზმის ახალი ფორმა. უკეთ: ერის ნაციონალისტურმა შეგნებამ ეროვნული ცხოვრების ახალი სოციალ-პოლიტიკური ფორმა შეჰქმნა, შინაგანი წონასწორობისა და ჰარმონიის აღსადგენად.

ამაშია თანამედროვე ნაციონალიზმის თავისებურება.

პრინციპი მისი იგივე დარჩა, რაც ის ყოფილა დასაბამითგან.

ახალი მასში მხოლოდ ამ პრინციპის გამოვლენაა, ახალი ისტორიული ვითარების მიხედვით.

ანტიეროვნულ ძალას დაუპირისპირდა ეროვნული მოძრაობა და ანტიეროვნულ მოძღვრებას—ეროვნული აზრი და იდეოლოგია ყველა ქვეყნებში.

ქართველი ერიც მისი ბედით ძალთა ჭიდილის ამ ორბიტშია მოქცეული.

იგი იბრძვის უცხო ძალისა და ანტიეროვნული—მარქსისტული სულისა და წყობილების წინააღმდეგ, და, ამიტომ, მისი ბრძოლა ნაციონალურია და ნაციონალისტურიც იმავე დროს . .

* * *

დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მუდმივი ზრუნვა—ეს არის თითქმის მთელი ჩვენი ისტორიის შინაარსი, მთელი ჩვენი მძიმე და ხანგრძლივი დავგადასავალი.

არავის თითქმის იმდენი მტერი და ხელისშემშლელი არ ჰყოლია, როგორც ქართველ ერს, მისი ამ წმიდა სურვილისა და მიზნის მიღწევაში; და ამიტომაც მეტი დრო ბრძოლას მოვუნდით, ვიდრე მშვიდობიან ცხოვრებასა და განვითარებას.

სპარსნი თუ რომაელნი, არაბნი თუ თურქნი, მონგოლნი თუ რუსნი—ვინ არ ყოფილა ჩვენი არასასურველი სტუმარი, ვინ არ დაგვცემია, ვისთან არ გვიბრძვია!

რამდენი მტერი გვყოლია, რამდენი შავიდღე გვინახავს, რამდენი უბედურება მოგვინელებია!

ეროვნული სახე დღემდე მაინც მოგვიტანია!

და დღესაც ვიბრძვით იმავე ძველი მიზნისათვის.

თუმცა . . .

მიზეზნი ჩვენი დამარცხებისა.

(გაგრძელება)

ბ)

მოხელეთა ჯგუფი.

საქართველოში ბევრნი იყვნენ ძველი მთავრობის მოხელენი, რომელთაც თანამდებობანი ჰქონდათ უდიდესნიც და უმცირესნიც ზოგი მათგანი ჩვენში მიღებულ იქნენ სახელმწიფო სამსახურში, მაგრამ მეტი ნაწილი უსაქმოდ დარჩა. ერთ ნაწილს არ სწამდა რევოლუციის საბოლოო გამარჯვება და საქმეთა მსვლელობის შებრუნებას უცდიდა. მეორე ნაწილი მოხარული იქნებოდა, რომ სამსახურში მიეღოთ, მაგრამ მათ არ იღებდენ; ხოლო მესამე ნაწილი გამოცდილი სერიოზულ სახელმწიფო მუშაობაში, ზიზღით უყურებდა საჩქაროდ მოწვეულ ახალ სახელმწიფო მოხელეებს, რომელთაც არაფერი გაეგებოდათ მათდამი მინდობილი საქმეებისა. ყოფილი მოხელეები პოლიტიკაში თითქმის არ ერეოდენ და მათი ყოველდღიური ზრუნვა იყო სადმე ლუკმა პური ეშოვნათ.

გ)

მობუზღუნე ელემენტები.

საჭიროა კიდევ მოვიხსენიოთ საქართველოში მცხოვრები უცხო ელემენტები, რომელთაც ეკუთვნოდენ საქართველოში დარჩენილნი რუსის მოხელენი და ოფიცრები, აგრეთვე უცხო ვაჭრები და სხვანი. ეს მასსა აშკარად მტრულად იყო განწყობილი საქართველოს მიმართ; თუმცა მათ არ შეეძლოთ ახდილად გამოსულიყვნენ, მაგრამ ისინი მზად იყვნენ ყოველი სამსახური გაეწიათ ჩვენი მტრებისათვის მუქთადაც კი. მათგან გამოვიდნენ ჯაშუშები წითელი და თეთრი ჯარისა და საზოგადოდ ამ მუდამ მობუზღუნე ელემენტს შემოჰქონდა არა მცირე დეზორგანიზაცია ჩვენს ცხოვრებაში.

დ)

ეკლესია.

ჩვენ მთავრობას თავის მისწრაფებაში მარქსისტულ პროგრამის და სხვა ,,მოწინავე იდეების‘‘ განხორციელებისა არ შეეძლო ეკლესია განზედ დაეტოვებია, და მართლაც მან იერიში მიიტანა უძველესი ივერიის ეკლესიის წინააღმდეგ. საჩქაროდ დამტკიცებულ იქნა კანონი ეკლესიის სახელმწიფოსაგან განყოფისა. მკითხველმა იცის, თუ რამდენი ღონე და მუშაობა იყო საჭირო საფრანგეთში მსგავსი რეფორმების შემოღებისათვის, მაგრამ ასეთი კანონის დამტკიცების დროს საფრანგეთი იყო ძლიერი და პირველ-ხარისხოვანი სახელმწიფო, ჩვენი სახელმწიფო კი მხოლოდ იწყებდა ფორმის მიღებას.

ჩვენი მთავრობის საქციელი ეკლესიის მიმართ უნდა დავსახოთ ერთ ეპიზოდად საქართველოს ისტორიისა.

ყოველ ოდნავ მაინც განათლებულმა ქართველმა იცის, თუ რა როლი აღასრულა საქართველოს ეკლესიამ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ივერიის ეკლესია იყო ნაციონალური კულტურის შემნახველი, უმაღლესი სასულიერო იდეების მატარებელი. მან გამოიყვანა ცოცხლად ჩვენი ერი ისტორიის ქარ-ცეცხლიდან. ეკლესია რომ არ ყოფილიყო, საქართველო შეიძლება უკვე დიდი ხნითგან გამქრალიყო ისტორიის ასპარეზიდან.

ჩვენი ეკლესიის უდიდესი მოღვაწეები იყვნენ აგრეთვე უდიდესი ქართველი პატრიოტები. ტყუილად კი არ აღიარებს ხალხი დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს წმიდანებად. და ჩვენი დამმონავებელი რუსეთიც აწარმოებდა უსასტიკეს ბრძოლას ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ სწორედ იმიტომ, რომ იგი იყო ქართული ნაციონალური იდეის მატარებელი და დამცველი. რუსეთის მთავრობამ და სინოდმა გააუქმეს საქართველოში კათალიკოსობა, განაძევეს საქართველოთგან ჩვენი ეკლესიის საუკეთესო მსახურნი, გაცარცვეს ეკლესიები და მონასტრები და რუსეთში გაზიდეს ძვირფასი საეკლესიო ნივთები— ხატები და სხვ., აღკრძალეს ბევრგან ქართული წირვა-ლოცვაც კი!

რუსეთის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ეკლესია კვლავ გაბრწყინდა თავისუფლების სხივით. ვხედავთ კირიონს, ლეონიდს, ამბროსის—ასეთ ბუმბერაზ პიროვნებებს ასე მოკლე ხანში!

მთელი ერი სიხარულის ზეიმით ირჩევს სრულიად საქართველოს კათალიკოზს, ეკლესია განიკურნავს წყლულებს, აღორძინდება.

საჭირო იყო ამ დროს ეს ექსპერიმენტი—ეკლესიის განყოფა სახელმწიფოსაგან?

გონიერი მთავრობა, მცოდნე თავისი სამშობლოს ისტორიისა, ეკლესიის გავლენით ისარგებლებდა სახელმწიფო ორგანიზმის განსამტკიცებლად და ყოველნაირ ღონისძიებას იხმარდა, რომ აღედგინა ეკლესიის ავტორიტეტი ხალხის თვალში. ჩვენმა მთავრობამ კი საჩქაროდ დაამტკიცა კანონი ეკლესიის განყოფისა სახელმწიფოსაგან. სასწავლებლებითგან განდევნილ იქმნა საღმრთო-სჯულის სწავლება, სასწავლებლებისა და ჯარების ეკლესიები დაკეტეს. ამის შემდეგ ჩვენი მხედარი დაე მომკვდარიყო უზიარებლად, დამარხულიყო უმღვდლოდ! . . სოფლებში აგიტაცია სწარმოებდა ეკლესიის მსახურთა წინააღმდეგ.

მთავრობამ ,,საეკლესიო ძვირფასი ქონების განძარცვისაგან გადასარჩენად‘‘ დაადგინა ჩამორთმეოდა ეკლესიას ეს ქონება კათალიკოსის დაუკითხავად. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მოხდა კონფლიქტი, სრულიად არასაჭირო და მავნებელი სახელმწიფოსთვის. მთავრობის თავმჯდომარემ ნ.ჟორდანიამ შეუფერებელი სიტყვებით მიმართა საქართველოს კათალიკოზს ლეონიდს, —დასტოვე ჩემი კაბინეტიო! ჯერ არ გაგონილი საქციელი ეკლესიის თავის მიმართ! ! !

საბჭოთა ჯარები დაეცენ საქართველოს. ჩვენმა სამღვდელოებამ იგივე სულიერი სიძლიერე გამოიჩინა, რომელიც ყოველთვის ჰქონდა ივერიის ეკლესიას. როგორც კათალიკოსმა, აგრეთვე სხვა სამღვდლო პირთ მოუწოდეს ხალხს მთავრობის გარშემო შესაერთებლად სამშობლოს დასაცავად.

ყველას ახსოვს ის ჩვენთვის მიუწდომელი სულის სიძლიერე, რომელიც გამოიჩინეს კათალიკოსმა ამბროსიმ, მიტროპოლიტმა ნაზარიმ და ბევრმა სხვა მსახურმა ივერიის ეკლესიისა. მოვიგონოთ პასუხი კათალიკოს ამბროსისა ჩეკის თავმჯდომარის მიმართ: ,,სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული—ჩემი ერს, სხეულს კი შეგიძლიათ მოეპყროთ, როგორც გნებავთ‘‘, და აგრეთვე მისი გმირული მიმართვა გენუის კონფერენციისადმი.

ჩვენ მთავრობას მოუხდება ბევრში აგოს პასუხი საქართველოს ისტორიის წინაშე, განსაკუთრებით განახლებული ივერიის ეკლესიის პრესტიჟის დამცირებისათვის და მასთან შექმნილ უსაფუძვლო კონფლიქტისათვის სახელმწიფო აღმშენებლობის დროს. მაგრამ ამისი იმედი მაინც გვაქვს, რომ მთავრობის მიერ საზღვარგარეთ გამოტანილი საეკლესიო ქონება დარჩება ხელ-უხლებელი და ის არ გახდება საგნად არც დაგირავებისა და არც გაყიდვისა.

ე)

ხალხი—როგორც მასა.

ეჭვი არაა, რომ ჩვენი ხალხი უფრო კულტურულია, ვიდრე რუსეთის ხალხი, მაგრამ ხალხის მასსა ყოველთვის ინერტულია, თუ მას ხელმძღვანელი არა ჰყავს. თუ ხალხი მაძღარია, მაშინ ის მშვიდია და მისი ძილითგან გამოყვანა შეუძლია ან სტიქიურ უბედურებას ანდა ძლიერ სიტყვას. თუ ხალხთა წარსულ ისტორიას გავხედავთ, ჩვენ დავინახავთ, რომ უდიდეს ისტორიულ საქმეებს ჰქმნიდენ პიროვნებანი, ხალხი კი იყო მხოლოდ მათი იარაღი. თუ ხალხი უხელმძღვანელოდ დარჩა მაშინ ის უფრო ანგრევს, ვიდრე აშენებს.

როდესაც რუსის ხალხმა მიიღო ყოველნაირი თავისუფლება, მან დასწვა მემამულეთა სასახლეები, გასძარცვა მაღაზიები, მოსპო კულტუ-

დღეს თითქო რესპუბლიკაც გვაქვს და თავისუფლებაც, ქართული მიწაც, ქართული ენაც და ქართული სახელმწიფო აპარატიც—დამოუკიდებელი ცხოვრების თითქმის ყველა მთავარი ატრიბუტი.

და ერი მაინც იბრძვის და თავს მონად გრძნობს და უფლება აყრილად . . .

მაგრამ: აწინდელი ,,რესპუბლიკა" არა ჰგავს ძველს ქართულ სახელმწიფოს, და ამიტომ, არც აწინდელი მონობა—ძველად გამოცდილ მონობას, არც აწინდელი მტერი—ძველს მტერს.

წინათ თუ ვინმე გვმტრობდა, გვებრძოდა, გვიპყრობდა—ეს იყო რომელიმე ერი, მისი ეროვნული სულით, კულტურითა და ხასიათით; და მაშინ თავისუფლების დაკარგვასთან ერთად მონობის გახანგრძლივება გვაყენებდა ერთი უბედურების—გადაგვარების, სხვა ,,გვარის", სხვა სახის მიღების—საშიშროების წინ; ე. ი. საკუთარი სულის, სახის და კულტურის დავიწყების, დაკარგვის და სხვისი ეროვნული მეობის შე-თვის-ების—ხიფათის წინაშე. ძველი რუსეთის ასი წლის ბატონობა ამ საშიშროებაში გავატარეთ.

დღეს კი არ გვბატონობს ჩვენ ესა თუ ის ერი, მისი ეროვნული სულითა და კულტურით, და ამდენად ეროვნული გადაგვარების საშიშროების წინაშე არ ვდგავართ; დღეს ჩვენში ბატონობს ანტიეროვნული სისტემა და სახელმწიფო უცხო ხალხის, როგორც მხოლოდ ფიზიკური ძალის, დახმარებით. ამიტომ არის რომ ,,ქართულ რესპუბლიკაში" დღეს ქართველი ერი, როგორც ერი, უარყოფილია. ჩვენს წინ არა დგას დღეს გადაგვარების ხიფათი; ვინაიდან ქართულ ეროვნულ კულტურას არ უპირისპირდება (წინანდელივით) მეტოქედ სხვა ეროვნული კულტურა, არამედ—საერთოდ ერის უარმყოფელი სული და სისტემა, რომელსაც გადაგვარება არ ძალუძს—არამედ განადგურება.

პირველიც და მეორეც ჩვენთვის, რათქმაუნდა, შედეგში ერთიდაიგივეაე მაგრამ ეს შენიშვნა საერთოდ და მხოლოდ ჩვენი დღევანდელი ვითარებისა და მტრის ბუნების დასახასიათებლად . . .

ამ ანტიეროვნულ სულსა და იდეას მარქიზმი ეწოდება. დღეს საქართველოს ის ანგრევს და ქართულ ეროვნულ კულტურას ის ანადგურებს. ხოლო მისი დასაყრდენი — რუსეთი არ არის ძველი, ეროვნული; ის წარმოდგენილია დღეს მხოლოდ, როგორც ფიზიკური ძალა. მარქსიზმს შეეძლო ასევე თამამად სხვა ხალხის ძალაც მოეყვანა, მდგომარეობა იგივე დარჩებოდა— არც საქართველოს ეროვნული ვითარება, არც მისი მტრის ხასიათი ამით არ შეიცვლებოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში) ხ.

საქართველოს შავიქვა

მსოფლიო მნიშვნელობის მქონე შავიქვის ბუდობები არ არის ბევრი, და აქამდის აღმოჩენილი მარაგი, როგორც ქვემომოყვანილი ცხრილიდან ჩანს, განსაზღვრულია:

ჭიათურა	150	(მილიონი ტონა)
ნიკოპოლი	290	„ „
ბრიტანეთის ინდოეთი	100	„ „
ბრაზილია	150	„ „
დასავლეთი აფრიკა	20	„ „
სამხრეთი აფრიკა	20	„ „
ჩრდილოეთი აფრიკა	30	„ „
ეგვიპტე	10	„ „

სულ: 770 (მილიონი ტონა)

მცირე მნიშვნელობის ბუდობებია მანგიშლაკში (კასპიის ზღვა) 35 მილ. ტონა 32 პროცენტი მანგანით; აგრეთვე აზერბეიჯანში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ურალში, ციმბირში, თურქეთშიდა სხვ. ქვეყნებში.

ჭიათურის შავიქვის რაიონი დაშორებულია გადატვირთვის ადგილიდან—ფო თიდან 172 კილომეტრით. მადანს აქვს ჰორიზონტალური მდებარეობა და ფენის სისქე აღწევს 2-5 მეტრამდის.

გაუწმენდელი მადანი შეიცავს საშუალოდ 43-50 % მნგ; უცხოეთში გააქვთ ბუნებრივი მადანი 48-49% მნგ.-შემადგენლობით და გარეცხილი მადანი—51-53% მნგ.-შემადგენლობით.

მადნის სარეცხაოები მოწყობილია მთის ფერდობებზე მთის ნაკადულებთან. მადანი ჩამოაქვთ მთებიდან, სწმენდენ სარეცხაოებში, გარეცხვის შემდეგ უშვებენ დაბლა ხეობებით, სადაც მას ურმებზე ტვირთავენ.

მადნის მოხერხებული მდებარეობა, მისი მოპოვების სიადვილე, ხმელი (უწყლო) მაღაროები, მადნის ადვილი გამოტანა ჰორიზონტალური წოლხვრით—ყველაფერი ეს ხელს უწყობს მის დამუშავებას, აიაფებს საქონელს და საშუალებას იძლევა მუშაობის ფართე მანძილზე წარმოებისა.

ნიკოპოლის შავქვას არა აქვს საექსპორტოდ ასე მოხერხებული ადგილ მდებარეობა. ის დაშორებულია გადასატვირთავ ნავთსადგურ ნიკოლაევიდან 348 კლმ . . . მადნის ფენის სისქე აღწევს 0,6-2,5 მეტრ. ამიტომ დღესდღეობით ექსპორტისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ჭიათურის შავქვას.

შავიქვის ძველი ექსპორტერების რიცხვში შედიან: ჭიათურა, (1880 წლიდან), ბრაზილია (1895 წლ.) და ინდოეთი (1900 წლ.). ეგვიპტის შავიქვა ბაზარზე გამოვიდა პირველად 1922 წ., ხოლო სამხრეთი აფრიკისა 1930 წელს.

შავი ქვის ექსპორტი უდრიდა (1000 ტონებში და პროცენტებში):

	1911 წ.	1913	1929 წ.	1932 წ.	1933 წ
კავკასიიდან:	630-44%	1190-58%	1040-39%	410-57%	660
ბრიტ. ინდოეთიდან	630-44%	730-36%	790-30%	190-28%	260
ბრაზილიიდან	170-12%	120- 6%	290-11%	20- 3%	25
დასავლეთი აფრიკიდან	—	—	420-16%	50- 7%	ცბა გვაკლია
ეგვიპტიდან	—	—	100- 4%	37- 5%	
სულ	1430-100	2040-100	2640-100	697-1 00	—

საბაჟოების ანგარიშების მიხედვით მთავარ საიმპორტო ქვეყნებს შემოუტანიათ (ყველა გვარის შავიქვის იმპორტი, ლითონის მსოფლიო პროდუქციასთან შედარებით):

წლები	მანგანი 1000 ტონებში	ფოლადი მილ.-ტნ.	რკინა მილ.-ტნ.
1929	2845—100%	117—100%	94—100%
1930	2460— 86%	90— 77%	75— 80%
1931	1757— 62%	65— 56%	51— 54%
1932	903— 32%	45— 38%	33— 35%
1933	1330— 47%	68— 58%	48— 51%

1934 წლისთვის მოელიან იმპორტის გადიდებას; ფიქრობენ, რომ ის 1931 წლის დონეს მიაღწევს.

ცალკე ქვეყნებში მადნეულობის იმპორტისა და მასში საქართველოს შავიქვის მნიშვნელობის დასახასიათებლად, მოვიყვანთ საბაჟოთა ცნობებს (ათასტონებში):

	მთელი იმპორტი			ამაში საქართველოდან 1932 წ.	წილი %-ში 1932 წ.
	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.		
საფრანგეთი	483	348	505	166	48%
ბელგია და ლუქსენბ. .	242	154	167	57	37%
ამერ. შეერთ. შტატ. . .	507	111	159	55	49,5%
გერმანია	162	107	132	85,3	80%
იტალია	52	35	50	29	83%
შვეცია	—	42,2	4½	4,2	100%
ჩეხოსლოვაკია	73	0,3	7	0,2	67%
ნიდერლანდი	30,5	11,2	40	5,2	46%
ესპანეთი	9,5	5,1	8	3	59%
პოლონეთი	40	7,9	36	5,4	69%
დიდი ბრიტანეთი . . .	78	79	120	4,4	6%

ინგლისი გამოყოფილად არის მოყვანილი, ვინაიდან ინდოეთის შავქვას ინგლისში მონოპოლური მდგომარეობა აქვს, „Central Provinces Manganese-სა და ინგლისის ფერომანგანისკარტელს (United Kingdom Ferro-Manganese Co) შორის დადებული ხელშეკრულების ძალით.

საქართველოს წილი 1933 წ. რჩება 50%-ის სიმაღლეზე.

მას შემდეგ, რაც 1920 წ. საქართველოს შავიქვის ექსპორტი ისევ დაიწყეს, მან განუწყვეტლივ იმატა და 1932 წ. მიაღწია შავიქვის მსოფლიო წარმოებაში ომისწინარე წილს.

რა იყო საქართველოს შავიქვის მიერ მსოფლიო ბაზარზე წინანდელი მნიშვნელობის ისევ მოპოვების მიზეზი?

უწინარეს ყოვლისა ჭიათურის შავიქვის დადებითი თვისებების მთელი რიგი, რომელთა შორის აღსანიშნავია:

1. ჭიათურა იძლევა გარეცხილ მადანს, ლითონის ჭარბი შემადგენლობით (51-53%);

2. მადანს ახასიათებს ქიმიური შემადგენლობისა და მექანიკური მდგომარეობის თანაბრობა და მყარობა.

3. მადნის შემადგენლობაში მცირე რაოდენობა რკინისა (მაქსიმუმი 1%), რაც მეტად საჭიროა ფერონარევებისათვის მოდერნულ ელექტრონის ღუმელებში.

4. ფოსფორის შემადგენლობა (0,1-0,2%) არ აბრკოლებს ჩვეულებრივი ფერონარევების დამზადებას. მკაჟირის რაოდენობა (გარეცხილ მადანში 7%, ჩვეულებრივში—11-12%) ნორმალურია და დასაშვები; და დაბოლოს,

5. მადნის გარკვეული სილბილე და პორიანობა აჩქარებს მის რეგენერაციის პროცესსა და შერწყმას. ამაშია ჭათურის მადნის სასარგებლო განსხვავება მასთან კონკურენციაში მყოფ სხვა მადნებთან.

საქართველოს შავქვას კონკურენციის უნარიანობას უძლიერებს კიდევ რამდენიმე გარემოება: ჭიათურის მადნის მოხერხებული მდებარეობა—დიდი მარაგი შედარებით მცირე სივრცეზე, სიახლოვე გადატვირთვის ნავთსადგურთან, სასარგებლო გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ევროპის ბაზრის მიმართ (ჭიათურა გაცილებით ახლოა ბაზართან, ვიდრე კონკურენტი ქვეყნები, რაც მადნის ტრანსპორტს შედარებით აიაფებს) და სხვ.

დღეს ჭიათურის შავიქვის დამზადება და ტრანსპორტი მოდერნულად არის მოწყობილი და რაციონალიზაციაქმნილი:

1. სამთამადნო მუშაობა (მადნის მოპოვება, დატვირთვა) მექანიზირებულია 60%-თ, ხოლო მადნის ტრანსპორტი—80%-თ.

რული ღირებულებანი, გასწყვიტა საქონელი, დაანგრია ქარხნები. დიაღ, იგი მხოლოდ სძარცვავდა და ჰკლავდა! ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ჰანიბალი, მაჰმადი, დავით აღმაშენებელი, ნაპოლეონი—ესენი არიან გენიალური პიროვნებანი, რომელთაც შეჰქმნეს ეპოქები; ესენი რომ არ ყოფილიყვნენ, მაშინდელი დროის ხალხთა არც დიადნი საქმენი იქნებოდენ და არც ერთი ლამაზი თქმულება. რასაკვირველია, დრონი და პირობანი იცვლებიან, მაგრამ დღესაც გადამწყვეტ როლს ძლიერი პიროვნება აღასრულებს ხალხთა ცხოვრებაში. ჰიტლერი გერმანიაში, მუსოლინი იტალიაში, პილსუდსკი პოლონეთში, ხორტი უნგრეთში, — ესენი არიან პიროვნებანი მაგარი ხასიათისა, რომელნიც მთელ ეროვნულ ძალას ხალხის ნაციონალურ, მატერიალურ და კულტურულ გაძლიერებისაკენ მიმართავენ.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ საქართველოს ტახტზედ დავით აღმაშენებელის მაგივრად მჯდარიყო . . . თუნდაც საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი მეთორმეტე, რა მოხდებოდა!

საუბედუროდ, 1918—1921 წლებში საქართველოში ასეთი ძლიერი პიროვნება არ აღმოჩნდა. ჩვენს ხალხს ეძინა: არვინ არ აღვიძებდა მასში მიძინებულ პატრიოტიზმს, არვინ არ უხსნიდა მას ისტორიული მომენტის მნიშვნელობას, არვინ არ მოუწოდებდა მას საგმირო საქმეებზედ სამშობლოს დასაცავად და დასახსნელად.

ვ)

სახელმწიფო ფინანსები.

ნაპოლეონი ამბობდა, რომ ომის წარმოებისათვის საჭიროა სამი რამ: ფული, ფული და ფული. როგორი იყო ჩვენი სახელმწიფო ფინანსები? ამ კითხვაზედ სწორი პასუხის მოცემა შეუძლია ჩვენ ყოფილ ფინანსთა მინისტრს ბ-ნ კანდელაკს. მე კი შემიძლია ამის შესახებ ვილაპარაკო მხოლოდ გამოცნობით. ერთი ვიცი, რომ საქართველოს ბონები ფასობდნენ სომხეთისა და აზერბეიჯანის ბონებზედ მეტად; რომ ჩვენი მთავრობა 1920 წლის დამლევს სცდილობდა ინგლისში სესხად 1½ მილლიონი გირვანქა სტერლინგი მიეღო, მაგრამ მან ეს სესხი ვერ მიიღო; რომ ჩვენი მინისტრი ბ-ნი ერაძე უკვე ომის დროს—თებერვალში—აკაკი ხოშტარიას სთხოვდა, ესესხებია ბთავრობისათვის 60 000 გირვანქა სტერლინგი, მაგრამ ხოშტარიას ეს ფულები არ აღმოაჩნდა. მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენი ფულის წყაროები არ შეიძლებოდა ნაკლები ყოფილიყო, ვიდრე ესტონიის, ლატვიის, ლიტვის რესპუბლიკებისა, რომელთაც შესძლეს დაეცვათ თავიანთი დამოუკიდებლობა. სხვა საკითხია, თუ რა ზომებს იღებდა ჩვენი მთავრობა სახემწიფო ხაზინის გასაძლიერებლად, რამდენად ნაყოფიერად ხარჯავდა ის ფულს—საკითხი, რომელზედაც პასუხის მოცემა ძნელია, თუ ხელთ არ გვექნება შესაფერი საბუთები, მაგრამ სიმართლეს არ დავშორდებით, თუ ვიტყვით, რომ ფინანსიური პოლიტიკა ჩვენი მთავრობისა საღი არ იყო, როგორც საზოგადოდ მთელი მისი პოლიტიკა სახელმწიფო ცხოვრების სხვა დარგებში არ იყო საღი.

III. ჩვენი შეიარაღებული ძალები.

ზემოდ მე ვსთქვი, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის დასაწყისში მთავრობამ შეადგინა სახალხო, გვარდია ანუ პრიმიტიული ტიპი შეიარაღებული ძალებისა. პირველად ეს გასაგები იყო: მთავრობას საჩქაროდ სჭიროდა რაიმე სამხედრო ნაწილი, მაგრამ შემდეგ ასეთი შეიარაღებული ძალის დაკანონება არ შეიძლებოდა სახელმწიფო ინტერესებისათვის მისაღები ყოფილიყო და აი რატომ: 1. ჩვენი გვარდიელები უმეტეს ნაწილად შესდგებოდენ სამხედრო სამსახურისათვის მეტად ხნიერ მოქალაქეთაგან, ხშირად მრავალ-რიცხოვან ოჯახიანთაგან; 2. გვარდიაში შესვლამდე მათ მომეტებულ ნაწილს არავითარი სამხედრო მომზადება არა ჰქონია, და მათი ნამდვილი სამხედრო გაწრთვნა შეუძლებელი იყო; 3. გვარდიაში მთელი დისციპლინა დამყარებული იყო ეგრედ წოდებულ ,,მასსიურ შეგნებაზედ", რითაც აიხსნება ისეთი სამწუხარო მოვლენები, როგორც მიტინგები ამა თუ იმ სამხედრო ამოცანათა შესრულების წინ. 4. დაბოლოს, გვარდია არ იყო ,,პარტიის გარეშე", — პირიქით, ეს იყო ნამდვილი პარტიული შეიარაღებული ძალა. ვილაპარაკოთ სრულიად ობიექტიურად: ჩვენი გვარდიელები იყვნენ ისეთივე ქართველები, როგორც ჩვენ ყველანი, თუნდაც თავიანთ მასსაში საუკეთესო პატრიოტები და უპატიოსნესი მოქალაქენი, მაგრამ ორგანიზაციითა და სამხედრო მომზადებით ისინი ვერადროს ვერ შეედრებოდენ ჩვენი მთავარი მოწინაამდეგების—რუსების და ოსმალების რეგულარულ ჯარებს.

ავიღოთ იგივე საბჭოთა რუსეთი: დასაწყისში იქაც მოაწყეს მუშათა ბატალიონები და სახალხო გვარდია, მაგრამ ტროცკიმ საჩქაროდ შესცვალა ისინი წითელი ჯარით. მან შეიყვანა სამსახურში ძველი შტაბისა და წყობის ოფიცრები, შემოიღო უსასტიკესი დისციპლინა და შესძლო დაემარცხებინა თეთრი ჯარები. საქართველოზედაც ხომ მეთერთმეტე წითელი არმია მოიწევდა და არა სახალხო გვარდია. ფინეთმა, პოლონეთმა, ესტონიამ, ლატვიამ, ლიტვამ, ე. ი. იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც შესძლეს თავიანთი დამოუკიდებლობა დაეცვათ, ხომ შესძლეს საჩქაროდ შეექმნათ სწორედ ჯარები, და არც ერთს აქ ნახსენებ სახელმწიფოებს არა ჰყოლია ოფიცრების ისეთი კადრი, როგორც ჩვენ.რაღა მხოლოდ ჩვენ შევინარჩუნეთ შეიარაღებულ ძალების უვარგისი ტიპი? განა არა იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც თავ-პირის მტვრევით დავიწყეთ ჩვენში მარქსისტული პროგრამმის განხორციელება ყველა ხალხებზე ადრე მთელი ქვეყნისა? ან იქნებ საქართველო ყველაზე უფრო მოწინავე და მართლა ,,პროლეტარული" ქვეყანა იყო?!. საქართველოში არც იყო პროლეტარიატი ამ სიტყვის ევროპიული მნიშვნელობით . . .

რად იყო საჭირო ჩვენთვის სწორედ რეგულარული ჯარის და რატომ მიიღო ყველა ხალხმა ქვეყანაზედ (გამონაკლისს შეადგენს შვეიცარია, რომლის ნეიტრალიტეტს დარაჯად უდგიან ევროპის სახელმწიფოები) შეიარაღებული ძალების ასეთი ტიპი? სამხედრო ტეხნიკის განვითარების თანამედროვე პირობებში მხოლოდ ,,შეგნება" მეომრისა საკმარისი არ არის მიეცით ყველაზედ მეტად შეგნებულ გლეხს ან მუშას ხელში თოფი და თქვენ გეყოლებათ თოფიანი კაცი და არა მეომარი. მეომრის დანიშნულება ის კი არ არის, რომ მოწინააღმდეგის ტყვიას ვაჟკაცურად გული მიუშვიროს, არამედ ის, რომ მას რაც შეიძლება მეტი ვნება მიაყენოს.და საითგან გაჩნდა ის აზრიც, რომ ჩვენი გლეხების მასსა ისე შეგნებულია, რომ ასე ადვილად მსხვერპლად შეეწიროს ძმობისა და თავისუფლების ლამაზ იდეებს?!. გულახდილად ვსთქვათ, — ეს ასეა? და როდესაც ჩვენ ფრონტითგან გამოქცეულზოგ ,,მეომრებს" ვარცხვენდით ლაჩრობისათვის, განა ისინი არ იყვნენ რომ გვიპასუხებდნენ: ,,დავიღალეთ ბრძოლით"-ო?! (ეს სამი დღის ომის შემდეგ!! იმ დროს როდესაც რუსეთის ფრონტზედ წლობით იყვნენ ბრძოლის ველზე!) ,,მერე რატომ ვიბრძოლოთ რუსების წინააღმდეგ? იმათ ხომ ჩვენთვის პური და ფართალი მოაქვთ"-ო.

გვარდიელების შეგნებას ძლიერ ნაკლებად ამტკიცებს თუნდა შემდეგი დამახასიათებელი შემთხვევა: ,,ბრძანება გენერალ-გუბერნატორისა ქ.ტფილისისა და აღმოსავლეთ საქართველოსა: ვუბრძანებ ტფილისში 22 თებერვალს დაარსებულ განსაკუთრებულ სამხედრო სასამართლოს გაარჩიოს საქმე შემდეგი გვარდიელებისა: გრიგოლ გოგბერაშვილისა, იასონ ჩხიკვაძისა, მიხეილ ბაქრაძისა, გრიგოლ ხუჩიაშვილისა, ტარიელ აბრამიშვილისა, მარკოზ ხვედელიძისა, სილიბისტრო უგრემიძისა, დომენტი წიწვიაძისა და მათე შაუმაძისა (რიცხვით 9 კაცისა), რომელთაც ბრალი ედებათ იმაში, რომ სამხედრო მოქმედების რაიონში ყოფნის დროს ისინი მტრის ბანაკში გადავიდენ, უჩვენეს მტერს რესპუბლიკის ჯარების ნაწილების ბინადრობა და შემდეგ, მიიღეს რა მტრის წინადადება, ჩვენს ჯარში, მის სასარგებლო აგიტაციის მოხდენისა, დაბრუნდენ უკან, — ე. ი. დანაშაული, გათვალისწინებული სამხედრო კანონთა კრებულის მე-243-ე მუხლის მიერ, წიგნი 22. გენერალ-

2. გაუქმებულ იქმნენ ძველი პატარა ქარხნები და მუშაობა წარმოებს რამდენიმე ახალ დიდ სარეცხაოში.

3. ფოთში მოწყობილია ელექტრონის გადამტვირთი. ძველად გემებზე გადატვირთვა ხდებოდა ადამიანის ძალით.

ჭიათურის შავიქვის ინდუსტრიის რაციონალიზაციამ გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა საწარმოო ხარჯები და ამით არათუ მხოლოდ სარეწაოს რენტაბელობა ასწია, არამედ ძლიერ დააჩქარა მუშაობის ტემპიც.

სამი ფაქტორის ურთიერთშეხვედრამ (მადნის ღირსება, მისი ხელსაყრელი სივრცითი და გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და რაციონალიზაცია) მისცა საქართველოს შავქვას შესაძლებლობა, მოეპოვებია მსოფლიო წარმოებაში ომისწინარე ადგილი და ამავე დროს მხარი გაესწორებია კონკურენციის ფასებისათვის, რომელნიც, ისე როგორც საინდუსტრიო ნედლი მასალის სხვა ფასებიც, კრიზისის წლებში ძლიერ დაბლა დაექანენ.

ჭიათურა უცხოეთში გზავნის აგრეთვე წმინდა.შავიქვის დიდ რაოდენობას, რომელიც მანგანის 52-59 % შეიცავს. ამ მადნის ღირებულება იმდენად ლითონის შემადგენლობაში არ არის, რამდენადაც მანგანპეროქსიდისა (MnO_2). 80% წმინდა შავიქვა ნიშნავს, მაგ., რომ ნედლი მადნის 100 ნაწილი იმდენ ჟანგბადს გამოჰყოფს, რამდენსაც 80% თეორეტულად წმინდა მანგანპეროქსიდისა. რაც უფრო მეტია მანგანპეროქსიდის შემადგენლობა, მით უფრო მაღალია მადნის ღირსება და საქონლის ღირებულებაც.

საქართველოს წმინდაშავიქვა შეიცავს 80-90% MnO_2 — გარანტიით მაქსიმუმი 1 % რკინის შემადგენლობისა.

უკანასკნელ ხანებში საქართველოს შავიქვა გატანილიქმნა:

წლები.	ტონნა	ღირებულება 1000 მნ.-ში.	საერთო ფასი 1 ტნ. მანეთებში
1930	754 201	12 896	17.10
1931	741 705	9 774	13.20
1932	415 609	3 771	9.07
1933	655 007	4 512	6.90
1934 (იანვარი თებერვალი)	177 075	1 111	6.27

შავქვას მეტალურგიაში, გარდა უშუალო გამოყენებისა, ხმარობენ როგორც დასამატებელ მასალას თუჯის მომზადებისა და განსაკუთრებით თომასრკინისათვის; აგრეთვე ფერომანგანნარევის (კრიალა თუჯი 9-20% მნგ., ფერომანგანი 25-82% მნგ.) საწარმოებლად და მანგანის რკინასა და მკაჟიდთან (ფერო-მკაჟიდი-მანგანი, კრიამკაჟიდი და მკაჟიდმანგანი და სხვ.) შესარევად, რომელთაც შემდეგ საკვერავი რკინისა და სხვადასხვა ხარისხის ფოლადის დამზადებისას იყენებენ შესარევ მასალად. მანგანის გამოყენებას ფერონარევების სახით ის უპირატესობა აქვს, რომ ამით ადვილი ხდება ფოლადში მანგანისა და ნახშირისშემადგენლობის რეგულაცია.

დოქტ კარლ ჰაინრიხ პეტერს
პოლიტიკური ხელმძღვანელი
გერმანიის ნაც.-სოც. მუშათა პარტიისა

გუბერნატორის მაგიერად შ.მაღლაკელიძე“ (გაზეთი „ბატუმსკაია ჟიზნ“ — პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ორგანო ქ ბათუმისა, 26 თებერვალი 1921 წ. Nr. 194.

იქნება ვინმემ სთქვას, რომ ეს მართალი არ არის, ან იქნება ვისმე ეგონოს, რომ ჩემთვის, ქართველისათვის ადვილი იყოს ამაზე წერა? დიაღ, „შეგნებაც“ არ ყოფილა საკმარისი, და მარტო შეგნება არა კმარა მეომრისათვის. მეომარი ყოველი მხრით უნდა მომზადდეს თანამედროვე ბრძოლისათვის, რომელიც მოითხოვს ფიზიკური და მორალური ძალების დიდ კონცენტრაციას, ამისათვის კი ერთად ერთი საშვალებაა ნამდვილი, რეგულარული ჯარის მოწყობა: ოფიცრების კარგი კადრის შექმნა, საუკეთესო და ფიზიკურად ჯან-საღი ახალგაზრდების დარჩევა, მათი ხანგრძლივი და სისტემატიური წრთვნა სამხედრო საქმეში. მეომარი უნდა შეეჩვიოს სპორტს, გიმნასტიკას, მასში უნდა განვითარდეს პატრიოტული გრძნობა, უშიშრობა, გამძლეობა; მან საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს რომელიმე დარგი იარაღისა და ამავე დროს იგი უნდა გაეცნოს ყველა ჯურის საომარ იარაღს: ტანკებს, ჯავშნიან მატარებელს, ჰაეროპლანებს, არტილერიას, კავალერიას გაზებს ცეცხლისმფრქვეველებს, ყუმბარების მფრქვეველებს და სხვას, რომ მეომარმა იცოდეს, რასთან ექმნება მას საქმე ომში და განსაზღვრულ შემთხვევაში როგორ უნდა იმოქმედოს. მეომარი შეჩვეული უნდა იყოს მოქმედებას მთაში და ბარში, მან უნდა იცოდეს თხრილების მოწყობა, მას უნდა ესმოდეს ურთი ერთზედ მოქმედება სხვა და სხვა ჯურის იარაღისა, ან, როგორც სუვოროვი ამბობდა: „ყოველმა მეომარმა თავისი მანევრი უნდა იცოდესო“. თანამედროვე მეომარმა უნდა იცოდეს ხასიათი მოსალოდნელი მოწინაამდეგისა. ისეთ ადგილას უნდა ხდებოდეს სამხედრო მანევრები, სადაც მოსალოდნელია მოხდეს ბრძოლები, რომ მეომარმა იცოდეს ადგილის ტოპოგრაფია; ჯარებს უნდა ეჩვენოს ყოველნაირი იარაღის დემონსტრაცია, რომ იცოდეს რომ მოწინაამდეგეს შეიარაღებაში უპირატესობა არა აქვს და სხვა. ყველაფერი რომ ჩამოვთვალოთ, რაც მეომარმა უნდა იცოდეს, ბევრის, თქმა დაგვჭირდებოდა, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია, რომ ცხადვყოთ განსხვავება რეგულარულ ჯარსა და სახალხო გვარდიის შორის იტყვიან: ზოგიერთი ჩვენი გვარდიის ნაწილები სახელ-მოხვეჭილი გამოდიოდა ბრძოლითგან, ხოლო ზოგიერთი რეგულარული ნაწილები, პირიქით, სამარცხვინოდ მარცხდებოდენ. მაგრამ ეს რას გვიმტკიცებს? მხოლოდ იმას, რომ ზოგიეთმა გვარდიის ნაწილებმა, თუმცა მათ არ ჰქონდათ შესაფერი მომზადება, მაინც გამოიჩინეს უმაღლესი სამხედრო სიმამაცე, ზოგიერთი რეგულარული ნაწილები კი, რომლებიც ცუდად იყო გაწრთვნილი და რომლებსაც ღირსეული ხელმძღვანელები არა ჰყავდათ, ბრძოლაში შერცხვენ, მაგრამ ეს არ სცვლის იმ ძირითად დებულებას, რომ კარგად გაწრთვნილ რეგულარულ ჯარს ყოველთვის უკეთ შეუძლია ბრძოლა, ვიდრე სახალხო გვარდიას. აი ერთი კარგი მაგალითი ჯარისკაცთა მასსების „შეგნებისა“: ნიკოლოზ მეორის ჩამოგდების შემდეგ რუსის სოლდათებმა მიიღეს საჩუქრად აუარებელი სამოქალაქო უფლებები. რუსეთის რევოლუციის კერპმა ა.კერენსკიმ მიიღო ჯარების მთავარ-სარდლობა. შეიმოსა სამხედროდ და მიიღო რა ნაპოლეონის პოზა, მან იერიშზედ გადიყვანა „ახლა თავისუფალი, შეგნებული ჯარები“ და წინასწარ განიცდიდა მხედართ-მთავრის დიდებას. მერე რა გამოვიდა აქეთგან? იგივე ჯარები, რომლებიც ნიკოლოზ მეორის ბრძანებით ფრონტზედ იღუპებოდენ, მალე გაიხრწნენ და ჩვენი ნაპოლეონი კი ქალის კაბა გადაცმული გაიქცა საზღვარგარედ, ხოლო მისი შტაბის უფროსი, ძველი მხედარი, მამაცი ღენერალი დუხონინი, თუმცა მან იცოდა, რომ მის წინაამდეგ მოდიოდენ გამხეცებული ჯარის კაცები რომ ის ხიშტებზედ აეგოთ, ბოლომდე დარჩა თავის ადგილზედ და გმირის სიკვდილით მოკვდა. შეიძლება შეედაროს ეს რევოლუციის „კერპი“ კერენსკი ღენერალ დუხონინს? და ეს იმის მაგალითადაც არ გამოდგება, რომ რევოლუციონურ ხანაში ხშირად სრულ არარაობას ბრბო მიუწვდენელ სიმაღლემდე აიყვანს ხოლმე?

ის უმაგალითო გამარჯვებანი გერმანიის ჯარებისა, ის უდიდესი კონცენტრაცია ძალებისა, რომელიც მან გამოიჩინა ამ უკანასკნელ ომში, უნდა მიეწეროს განსაკუთრებით ჯარისკაცთა საუკეთესო მომზადებას, რკინის დისციპლინას და პატრიოტულ გრძნობას.

ერეკლე მეორეც საჭიროდ სცნობდა რეგულარულ ჯარის მოწყობას. 18 ოქტომბერს 1782 წელს თავის წერილში რომის იმპერატორ იოსებისადმი იგი სწერდა: „ჩვენ არა გვაქვს არავითარი საშუალება, რომ ევროპიულად მოვიწყოთ ჩვენი სამხედრო საქმე.თუმცა ჩვენი ხალხი მრავალი არ არის, მაგრამ ევროპიულად მოწყობილი რეგულარული ჯარი რომ გვყავდეს, ღვთის წყალობით შევსძლებდით მტრის დამარცხებას, რიცხვით ჩვენზე მეტიც რომ იყოს იგი და ისინი ვეღარ გაბედავდენ ჩვენს წინაამდეგობას*). დავუბრუნდეთ კიდევ ჩვენს სახალხო გვარდიას და დავუმატოთ, რომ მის სათავეში იდგა სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი, — თითქმის ავტონომიური ძალა. ზემოდ მე აღვნიშნე განსვენებული ვ.ჯუღელის ორი თვითნებითი გამოსვლა: ეს იყო მისი დეკრეტი შრომის ბეგარისა და მისი სიტყვა ერევნის მოედანზედ. ოფიციალურად გვარდია ემორჩილებოდა სამხედრო მინისტრს და ღენერალურ შტაბს, მაგრამ ამ დამორჩილებას იმდენად ჰქონდა ძალა, რამდენადაც ესა თუ ის განკარგულება ღენერალურ შტაბისა მისაღები იყო გვარდიის შტაბის უფროსისათვის. რაიმე კონფლიკტის დროს ღენერალური შტაბი მალე სთმობდა ხოლმე თავის პოზიციებს . . . სახალხო გვარდია ხდებოდა თან და თან რაღაც პროტერიანულ ძალად, რომელიც არაფერს და არავის ანგარიშს არ უწევდა. მოვიყვან ერთ უბრალო მაგალითს: ბორჩალოს მაზრაში მყოფი გვარდიის ერთ-ერთმა ბატალიონის გვარდიელმა ჩაიდინა ძლიერ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული და ღენერალური შტაბის უფროსს ღენ. ზაქარიაძეს მოუვიდა აუარებელი საჩივარი ადგილობრივ მცხოვრებთაგან. ღენ. ზაქარიაძემ გაგზავნა სადაც ეს ამბავი მოხდა კაპიტანი ფავლენიშვილი, როგორც სამხედრო გამომძიებელი. გამოცხადდა რა კაპიტანი ფავლენიშვილი გვარდიის ბატალიონის უფროსთან, მან განუცხადა მას თავისი დანიშნულება.ამ საქმეში ღენერალური შტაბის ჩარევით გაცოფებულმა ბატალიონის უფროსმა ბრძანება გასცა, დაუყონებლივ დაეხვრიტათ კაპიტანი ფავლენიშვილი. მას გახადეს ტანისამოსი, მიაყენეს კედელზედ, მაგრამ ის იხსნა გვარდიელების ერთი ნაწილის ჩარევამ. მათ დაარწმუნეს თავიანთი უფროსი, ბრძანება შეეცვალა.

გადავდივარ რა ახლა ჩვენი შეიარაღებული ძალების აღწერაზედ, შევნიშნავ, რომ დაწვრილებითი ცნობები არა მაქვს, მაგრამ ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტები სინამდვილესთან ახლოს არიან.ყოველ შემთხვევაში საერთო სურათის წარმოდგენა სწორად შეგვიძლია.

გვარდიის ორგანიზაცია.

ქართული სახალხო გვარდიის სათავეში იდგა გვარდიის შტაბი. შტაბის უფროსად იყო ვ. ჯუღელი. საბრძოლველ ერთეულად მიღებული იყო ბატალიონი — 1000 კაცი ომის დროს. მთლად განზრახული იყო ომის დროისათვის 18 ბატალიონის (18000 ხიშტი) მოწყობა, მაგრამ ნამდვილად 18000 გვარდიელი საქართველოს არადროს არც ჰყოლია და ვერც ეყოლებოდა იარაღის უქონლობის გამო. ეს მხოლოდ ქაღალდზედ იყო სახალხო გვარდიის შტაბში იყო მხოლოდ გეგმა მობილიზაციისა, იყო კადრი ომის დროს 18 ბატალიონის გამოყვანისათვის და სხვა არაფერი

1 გვარდიის ცხენოსანთა დივიზიონი, — უფროსი გიორგი ხიმშიაშვილი; გეგმით 500 ხმალი, ნამდვილად კი 300 ხმალი;
1 ბრიგადა არტილერიისა;
2 დივიზიონი (16) ზარბაზანი;
1 დივიზიონი ჯავშნიანი მატარებლისა;

სინამდვილეს არ დავშორდებით, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა რუსეთთან ომის დროს გვარდიის ყველა ბატალიონებში იყო სულ მთლად 7000 — 8000 მეომარი, რათგანაც ფაქტიურად 1000 კაცისაგან შემდგარი ბატალიონები ჩვენ არ გვყავდა, გარდა ერთისა ან ორისა.

რეგულარული ჯარი.

აგრეთვე რეგულარული ჯარიც, გეგმის თანახმად, 30 ბატალიონი უნდა გვყოლოდა, მაგრამ ფაქტიურად ომის დროს ჩვენ გვყავდა არა უმეტეს 8000 კაცისა, თუ ჩავთვლით აგრეთვე იუნკრებს და უნტერ-ოფიცრების ბატალიონებს.

1 ცხენოსანთა ლეგიონი,
1 არტილერიის ბრიგადა.

ამნაირად ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვის დროს ჩვენ გამოვიყვანეთ 15000-მდე მეომარი.თითქმის 3000 კაცამდე დაგვეღუპა პირველ ბრძოლაში. თუ ჩავთვლით, რომ სოჭის ფრონტზედ ჩვენ გვყავდა 1000 კაცი, თითქმის ამდენივე ახალციხეში, შემდეგ პატარა რაზმები ყაზბეგის და მამისონის მიმართულებით, — საქართველოს დედა-ქალაქის დასაცავად ომის ასეთ კრიტიკულ დროს ჩვენ გვყავდა 8—9000 კაცი, ღენერალ ჯიჯხიას (კახეთი) რაზმიც რომ ჩავთვალოთ.მაშასადამე, ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცავად ჩვენ გამოვიყვანეთ 15000-მდე კაცი, ე. ი. საქართველოს მცხოვრებლების 1 პროცენტ-ზედ ნაკლები., უკანასკნელი დიდი ომის დროს კი გერმანიამ გამოიყვანა 12,25 კაცი, ავსტრიამ 9 მილ., რუსეთმა 15,5 მილ, საფრანგეთმა 8,5 მილ., პატარა შავმა მთამაც კი (მთელი მისი მოსახლეობა შეადგენს 250000 — 300000 კაცს) გამოიყვანა 40000 კაცი, ე. ი პროცენტუალურად 17,5; 15; 10; 18; 14 პროცენტი მოსახლეობისა.

მტერმა, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა ჩვენი შინაური მდგომარეობა და შეიარაღება, გადასწყვიტა ჩვენი დაპყრობა მოულოდნელი დაცემით, და მისი შეიარაღებული ძალები, რომლებიც ჩვენ საზღვრებზედ გადმოვიდა, 16000 კაცს არ აღემატებოდა.ჩვენ კი, ძლიერი ნებისყოფა რომ გვქონოდა, უნდა გამოგვეყვანა მცხოვრებთა 5 პროცენტი მაინც, ე. ი. უნდა გვყოლოდა 100000 ჯარი და ამით ჩვენ დამოუკიდებლობა სრულიად დაცული იქნებოდა. ქვემოთ მე დავამტკიცებ, რომ, 30000 კაციც რომ გვყოლოდა, კადგად გაწრთვნილი და იარაღით უზრუნველყოფილი, ჩვენ ჩვენი მდგომარეობის ბატონები დავრჩებოდით.

წინააღმდეგობა გვარდიასა და ჯარს შორის.

სახელმწიფოში ორგვარი ტიპის შეიარაღებულ ძალთა არსებობამ დბადა მათ შორის წინააღმდეგობა. ჯარების ნაწილები თითქოს სამშობლოს გერები ყოფილიყვნენ: ძლიერ ხშირად ისინი იღებდენ ბევრად უფრო დაბალი ღირსების იარაღს, ტანთსაცმელს და სასმელ-საჭმელს, ვიდრე გვარდიელები. ხშირად ჯარის კაცებს არ ჰქონდათ ფეხსაცმელები იმ დროს, როდესაც გვარდიელს რამდენიმე წყვილი ჰქონდა. უდისციპლინობამ ისეთი მოვლენაც კი შეჰქმნა, რომ კარგ ფეხსაცმელებს სახლში ჰგზავნიდენ, რომ შემდეგ ახალი გამოეტყუებიათ.ყოველივე ეს ჰხრწნიდა ჩვენს ჯარებს და საზარალოდ მოქმედობდა მისი ბრძოლის უნარიანობაზედ. იყო გეგმა გვარდიის დაშლისა და მხოლოდ რეგულარული ჯარების შექმნისა, მაგრამ ამას წინააღუდგა გვარდიის შტაბი, რომელმაც თავისი საწინააღმდეგო გეგმა წამოაყენა—სრული გაუქმება ჯარების ნაწილებისა და მხოლოდ გვარდიის დატოვება. გვარდიის შენარჩუნების სასარგებლოდ საბუთად ისინი სთვლიდენ შიშს მემარჯვენე ელემენტთა გაძლიერების წინაშე — რევოლუციის მიხწევათ ემუქრებიანო, ხოლო რევოლუციის ერთგული დარაჯი სახალხო გვარდია არისო.

სამხედრო კადრები
(ოფიცრებისა).

25 ქართველ ღენერალთაგან, რომელთაც მე ვიცნობდი, ოცდა სამს ჰქონდა გიორგის ჯვარი (ოფიცრის ორდენი წმ.გიორგისა); ზოგიერთს კი ორ-ორი ჰქონდა. მათ შორის იყვნენ პირნი, რომელთაც ჰქონდათ თანამდებობა ჯარების სარდლებისა, კორპუსების და დივიზიების უფროსებისა, არტილერიის ინსპექტორთა, თანაშემწეთა და სხვა.ჩვენ ძალია ნზევრი ობერ და შტაბოფიცრები გვყავდა. რუსეთში არც ერთი ერი ისე ძლიერ არ იყო წარმოდგენილი ჯარებში, როგორც ქართველები. პოლონელ ოფიცრებს არ შეეძლოთ შესულიყვენ არა თუ სამხედრო აკადემიაში, არამედ საციხოსნო ჯარებშიც კი. ჩვენ გვყავდა ქართველი კავალერისტები—საუკეთესონი რუსეთის ჯარებში. ქართველი კავალერისტი ალექსანდრიის ჰუსარის პოლკისა თავადი ავალიშვილი ითვლებოდა კავალერისტ-„სასწაულად“ რუსეთის კავალერიაში. მერე ჩვენი არტილერისტები? ჩვენ გვყავდა ბევრი ოფიცერი ღენერალური შტაბისა და სხვა აკადემიებისა. ცხადი იყო, რომ გეოგრაფიული მდგომარეობის მიხედვით, საქართველოს უნდა ჰყოლოდა რეგულარულ კავალერიის ერთი დივიზია მაინც, რაც უნდა ძვირად დასჯდომოდა. ქვეით ვნახავთ, თუ რა საბედისწერო როლი აღასრულა მტრის კავალერიის სულ მხოლოდ ხუთმა ესკადრონმა ტფილისთან. ჩვენ რომ უფრო შორსმხედველნი ვყოფილიყავით, ჩვენ რომ მართლა გვდომოდა დამოუკიდებლობის შენარჩუნება, მაშინ ვისარგებლებდით კიდეც ჩინებული კადრით ძველი ოფიცრებისა, შევქმნიდით რეგულარულ ევროპიულ ჯარს და გუშინდელ დეზერტირ-სოლდათებს ოფიცრებად არ გავხდიდით. ამას გარდა აი კიდევ რა ხდებოდა ჩვენში: ღენერალი ასრულებდა კაპიტნის თანამდებობას და მისი ჯამაგირი ეძლეოდა, და წინაუკმო! არა სამხედრო მოქალაქენი მაიორის თანამდებობას იღებდენ მაიორის სამხედრო ფორმაში გამოწყობილნი და სხვა! და რას შვრებოდა უმეტესი ნაწილი ქართველი ოფიცრობისა? ზოგი მათგანი პროტექციით ან მმართველ პარტიასთან დაახლოებით მოეწყობოდა ხოლმე, მეორე ნაწილი კი შიმშილობდა, ან დარბოდა ლუკმა-პურის საძებნელად.

როგორი იყო მოპყრობა ოფიცრებისადმი? აღვნიშნავ ერთს შემთხვევას, რომელმაც ოფიცრების წრეში დიდი აღშფოთება გამოიწვია: მენშევიკმა სულაქველიძემ, რომელიც რევოლუციამ ტფილისის პოლიცმეისტერად გაჰხადა, რუსთაველის ქუჩაზედ ძველ დამსახურებულ ქართველ ღენერალს სილა გაარტყა და გულიდან წმ.გიორგის ორდენი ჩამოაგლიჯა. სულ უბრალო ქართული ზრდილობა მაინც მოითხოვდა, რომ სულაქველიძეს, თუ არა გმირი ღენერლისათვის, მოხუცის ჭაღარისათვის მაინც ეცა პატივი და მისთვის ასეთი შეურაცხება არ მიეყენებია! და მერმე რომელ უფლებრივ ქვეყანაში იქნებოდა დატოვებული ასეთი პოლიცმეისტერი თავის სამსახურში?

აეროპლანები, ჯავშნიანი ავტომობილები და ჯავშნიანი მატარებლები.

საქართველოს ჰქონდა რამდენიმე აეროპლანი იტალიის ტიპისა (აგრედ წოდებულნი „განმანადგურებელნი“). ეს აეროპლანები ნაყიდი იყო გედევანიშვილის მიერ იტალიაში. გვყავდენ აგრეთვე მფრინავებიც, მაგრამ ომის დროს ამ აეროპლანებს ჩვენთვის არაფერი სარგებლობა არ მოუტანიათ, რადგანაც ჰაერში ასვლა ვერ შესძლეს—სპეციალური ზეთის უქონლობის გამო. ამნაირად ჩვენ ვერ გამოვიყენეთ ასეთი ძლიერი იარაღი. ისინი მტერმა წაიღო დავლად. პირადად მე მახსოვს მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც ერთი ჩვენი აეროპლანი მაღლა ავიდა; ეს იყო 24 თებერვალს საღამოს 4 საათზედ ჩვენი პოზიციების ზემოდ უშნოდ და მდაბლად გადაფრინდა მტრის აეროპლანი და სადგურ სოღანლუღის ახლოს ყუმბარა ჩამოაგდო. ამ დაზვერის შემდეგ მტერი უკან გაბრუნდა. ჩვენი „განმანადგურებელი“ კი მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ ავიდა და მტერს უკან დაედევნა, მაგრამ მალე ისევ უკან გამობრუნდა.

ჩვენმა ჯავშნიანმა მატარებელმა სოღანლუღის ბრძოლების დროს დიდი სამსახური გაუწია ღენ. მაზნიაშვილს. ჩვენ გვქონდა აგრეთვე მძიმე ტანკი, რომელიც ლიანდაგზე მოძრაობდა, და რამდენიმე ჯავშნიანი ავტომობილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში) რ. მკურნალი

---

*) „საქართველო და რუსეთი“ ჭიაბრიშვილისა, 1919, გვ. 79.

Herausgegeben von der Organisation der Georgischen Nationalisten
in Deutschland e. V.
Hauptschriftleiter:
Dr. Karl Heinrich Peters, Charlottenburg 4, Kantstraße 46
Satz und Druck:
Asmus-Druck, Charlottenburg 1, Berliner Straße 119